



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 718
09/11/2017

საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამა, (ს/ნ 404921670; N236542/16-05.10.2017წ, N2477471/16-17.10.2017წ; N249932/16-19.10.2017წ, მისამართი: თბილისი, ყაზბეგის N2), რომლითაც მოთხოვნილია პროგრამის აღიარება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 18 აგვისტოს Nნ-13 ბრძანებისა და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება.
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს განგრძობითი განათლების პროგრამა 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
3. მიენიჭოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-002/17.
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან

და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება.


5. დაევალოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას აღიარებული განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge).

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 25 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური